საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 24 ნოემბერი 2011 წელი

გადაწყვეტილება № 3

,,ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, ,,უმა-ღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2011 წლის 21 ნოემბრის №84 დადგენილების საფუძველზე
წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

I. შეტანილ იქნას ცვლილება წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №8 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესში“ და დაემატოს მუხლი 9:

მუხლი 9. ერთჯერადი სტიპენდიის გაცემა

1. განსაკუთრებულ შემთხვევაში შემოქმედებითი მიღწევისათვის წარმატებულ სტუდენტზე შეიძლება გაიცეს ერთჯერადი შემოქმედებითი სტიპენდია.
2. განსაკუთრებულ შემოქმედებით მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს: სტუდენტის მიერ საერთაშორისო ან/და რესპუბლიკურ ფესტივალებში, კონკურსებსა და კონფერენციებზე მოპოვებული სამეცნიერო/შემოქმედებითი წარმატებები; დადგმული სპექტაკლები, პერსონალური გამოფენები და სოლო კონცერტები, რომელმაც საზოგადოების აღიარება მოიპოვა. თეორიული მიმართულებით მიღწევად ჩაითვალოს პუბლიკაციის დაბეჭდვა ან რესპუბლიკურ/საერთაშორისო კონფერენციაზე წარდგენილი ნაშრომის საპრიზო ნომინაციით აღნიშვნა.
3. სტიპენდის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას დეპარტამენტის წარდგინებით იღებს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები.

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი თ. მეიშვილი